პირველი წაგება

მოსკოვი. ცსკა–ს სტადიონი. 5 ივნისი.

ცსკა – “დინამო” (თბილისი) 2:0 (0:0).

ცსკა: ასტაპოვსკი, საუხი, შვეცოვი, ვისოკიხი, აჯემი, ბიჩკოვი, ჩესნოკოვი, დულიკი, ტარხანოვი (დუბინინი), კორობოჩკა, პეტროსიანი.

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი (კოპალეიშვილი), დარასელია, მ. მაჩაიძე, სულაქველიძე, ჩელებაძე, ყიფიანი, შენგელია (გუცაევი).

მსაჯი: ი. იგნატოვი (კალუგა).

დუბლიორები – 1:1.

მთელი პირველი ტაიმის მანძილზე უპირატესობას თბილისელები ფლობდნენ, თუ დასაწყისში ეს ;უპირატესობა მხოლოდ ოდნავ შესამჩნევი იყო, შემდგომში მან ხანგრძლივი შეტევის ხასიათი მიიღო. ტაიმის დასასრულს კი არმიელები თითქმის არ მოსცილებიან თავიანთ საჯარიმო მოედანს. მაგრამ არც ერთ საიერიშო კომბინაციას შედეგიანი დასასრული არ ეწერა, დინამოელები ან კარგავდნენ ბურთს, ან უზუსტოდ ურტყამდნენ კარში.

მეორე ტაიმი სტუმრებისთვის მარცხიანად დაიწყო. მე–5 წუთზე პეტროსიანმა შორიდან დაარტყა კარში, გოგიამ ვერ შეაჩერა ბურთი და ტარხანოვმა ახლო მანძილიდან ანგარიში გახსნა – 1:0.

ამის შემდეგ არმიელებმა საფუძვლიანად გაამაგრეს დაცვა და რამდენიმე ძალზე სახიფათო კონტრშეტევა განავითარეს, რომელთაგან ერთ–ერთი გოლით დამთავრდა: პეტროსიანის ფლანგურ გადაცემაზე არ გამოვიდა მეკარე, მცველებიც შეყოვნდნენ და დუბინინმა ზუსტად ითამაშა თავით – 2:0.

თბილისის “დინამომ” პირველი წაგება იწვნია მიმდინარე ჩემპიონატში.

მორიგ მატჩს, როგორც ცნობილია, თბილისის დინამოელები 9 ივნისს მოსკოვშივე ჩაატარებენ ისევ ცსკა–ს ფეხბურთელებთან. ეს იქნება ნახევარფინალური შეხვედრა სსრ კავშირის თასზე. უნდა ვიფიქროთ, რომ კოლექტივი ყველაფერს იღონებს მიმდინარე ჩემპიონატში პირველი მარცხის რევანშისთვის.

ვ. ძნელაძე.

“ლელო”, 6 ივნისი, 1979 წ.